ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №376921

ნომერი: AR183148

თარიღი : 26.09.2012

გაცემის თარიღი : 03.10.2012

გაცნობის თარიღი : 11.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე , "ოკრიბა"-ს ავტოფარეხების მიმდ. (8/73, 8/74), /ქუჩა ბელიაშვილი კინოსტუდიის მოპირდაპირედ(8/50)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შ.პ.ს. ,,ოკრიბა"-ს ავტოფარეხების მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ორგანიზაცია:
- გოდაკო+ კოდი: 202269035

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2004 წლის 25 ნოემბრის #ბ–140 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 26 სექტემბერს AR183148 განცხადებით მომართა შპს ,,ეკიპაჟის" მინდობილმა პირმა გიორგი კვიწინაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #ბ–140 (25.11.2004წ.) არქიტექტურულ–გეგმარებით

დავალებაში ცვლილება მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის, საკადასტრო კოდის და ფართობის ცვლილების გამო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ,,ოკრიბას" ავტოფარეხების მიმდებარედ, კინოსტუდიის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთზე საზკვების ობიექტის ასაშენებლად 2004 წლის 25 ნოემბერს დადგენილი იქნა #ბ–140 არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალება. 2005 წლის 24 მაისის #20/218 ბრძანებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საზკვების ობიექტის არქიტექტურული პროექტი და 2007 წლის 09 ივლისის #ნ/601 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/601–1).

ზემოაღნიშნული არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალება დადგენილი იქნა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ,,ოკრიბას" ავტოფარეხების მიმდებარედ, კინოსტუდიის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობი შეადგენდა 1500 კვ.მ–ს (საკადასტრო კოდი:01/13/02/008/038). აღნიშნული მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და საკადასტრო მონაცემები შეიცვალა რამდენჯერმე, რაც ასახულ იქნა #ბ–140 არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალებაში. დღეის მდგომარეობით, საპროექტო ტერიტორიის ფართობის გაზრდამ გამოიწვია ნაკვეთის კონფიგურაციის და საკადასტრო კოდის ცვლილება, მისი საკადასტრო კოდი გახდა #01.13.02.008.105, ხოლო ნაკვეთის ფართობი 1789 მ2, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით (ფართობი 1789 კვ.მ, მესაკუთრე შპს ,,ეკიპაჟი", ამონაწერის რეგისტრაციის №882012284441; საკადასტრო კოდი: 01.13.02.008.105, ამონაწერის მომზადების თარიღი: 05.07.2012წ, საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 04.07.2012).

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99–ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა–ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. იმ დროისათვის მოქმედი ,,არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალება არის საქართველოს კანონმდებლობით ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც ადგენს არქიტექტურული ობიექტის დანიშნულებას, მის პარამეტრებს, ტერიტორიულ ფარგლებს, მიწის ნაკვეთზე განთავსებას, აგრეთვე მისი დაპროექტებისა და მშენებლობის ეკოლოგიურ, ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სხვა პირობებს. შესაბამისად, არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში უნდა აისახოს საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99–ე მუხლის, ,,არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2004 წლის 25 ნოემბრის #ბ–140 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში, კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთად მითითებულ იქნეს #01.13.02.008.105 საკადასტრო კოდისა და 1789 მ2 ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი.

2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2004 წლის 25 ნოემბრის #ბ–140 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებას დაემატოს საჯარო რეესტრის ამონაწერი და საკადასტრო გეგმა (ფართობი 1789 კვ.მ, მესაკუთრე შპს ,,ეკიპაჟი", ამონაწერის რეგისტრაციის №882012284441; საკადასტრო კოდი: 01.13.02.008.105, ამონაწერის მომზადების თარიღი: 05.07.2012წ, საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი 04.07.2012).

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2004 წლის 25 ნოემბრის #ბ–140 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.